*დამტკიცებულია*

*არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ამბროლაურის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი“ დამფუძნებელთა კრების მიერ 2024 წლის 1 თებერვალს.*

*შეტანილია ცვლილება*

*არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „ამბროლაურის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი“ წევრთა საერთო კრების მიერ 2025 წლის 28 იანვარს.*

# ა(ა)იპ არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი

# ამბროლაურის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი

# წესდება

ამბროლაური

2024

ჩევი


| | |
|---|---|
| ლი 1. ზოგადი დებულებები | 3 |
| მუხლი 2. ორგანიზაციის მიზნები და ამოცანები | 3 |
| მუხლი 3. ორგანიზაციის საქმიანობა | 4 |
| მუხლი 4. დამფუძნებლები | 4 |
| მუხლი 5. წევრად მიღება | 6 |
| მუხლი 6. წევრობის შეწყვეტა | 8 |
| მუხლი 7. წევრთა უფლება-მოვალეობანი | 8 |
| მუხლი 8. საერთო კრება | 8 |
| მუხლი 9. მმართველი საბჭო | 9 |
| მუხლი 10. მმართველი საბჭოს წევრი | 10 |
| მუხლი 11. თავმჯდომარე | 11 |
| მუხლი 12. ქონება | 12 |
| მუხლი 13. რეორგანიზაცია/ლიკვიდაცია | 12 |
| მუხლი 14. დასკვნითი დებულებები | 13 |

ლი 1. ზოგადი დებულებები

საზოგადოების სახელწოდება – **„ამბროლაურის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი“.**

1.2. საზოგადოების ინგლისური სახელწოდება – **„Ambrolauri Local Action Group“.**

1.3. სამართლებრივი ფორმა – **არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირი.**

1.4. იურიდიული მისამართი – **ამბროლაური, ს. წესი, მე-17 ქ. N37**

1.5. ელექტრონული ფოსტის მისამართი – **info@ambrolaurilag.ge**

1.6. ა(ა)იპ „ამბროლაურის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი“ (შემდგომში – ორგანიზაცია) წარმოადგენს საქართველოს სამოქალაქო კოდექსის შესაბამისად შექმნილ, წევრობაზე დაფუძნებულ არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომელიც მოქმედებს საქართველოს კონსტიტუციის, კანონმდებლობისა და ამ წესდების შესაბამისად.

1.7. ა(ა)იპ „ამბროლაურის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი“ დაფუძნებულია ევროკავშირის მხარდაჭერით და მისი საქმიანობა ეფუძნება ევროკავშირის LEADER/CLLD[1] მიდგომის პრინციპებს.

1.8. ა(ა)იპ „ამბროლაურის ადგილობრივი სამოქმედო ჯგუფი“ წარმოშობილად ითვლება მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში რეგისტრაციის მომენტიდან.

## მუხლი 2. ორგანიზაციის მიზნები და ამოცანები

2.1. **ორგანიზაციის მიზანია** ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მოსახლეობის ცხოვრების ხარისხის გაუმჯობესება.

2.2. **ორგანიზაციის ამოცანებია:**

- ადგილობრივი მოსახლეობის მონაწილეობითი კულტურის გაძლიერება, მათი შესაძლებლობებისა და პროფესიული უნარების გაუმჯობესება სოფლის განვითარების სხვადასხვა, პრიორიტეტულ სფეროებში;
- სოფელში, მუნიციპალიტეტში, დასაქმებისა და შემოსავლის მომტანი შესაძლებლობების შექმნის ხელშეწყობა;
- საზოგადოებრივ ცხოვრებაში ადგილობრივი ახალგაზრდების როლისა და ჩართულობის გაძლიერება; ახალგაზრდული ინიციატივების წახალისება-მხარდაჭერა;
- ადგილობრივი მოსახლეობის როლის გაზრდა სოფლის განვითარებაში;
- სამოქალაქო, სამეწარმეო და საჯარო სექტორებს შორის თანამშრომლობის მხარდაჭერა სოფლის განვითარებისთვის;
- მეწარმეობის, ორგანული სოფლის მეურნეობის, ეკოტურიზმის და მუნიციპალიტეტისთვის სხვა აქტუალური მიმართულებების სტიმულირება;
- სურსათის უვნებლობის, გარემოს დაცვის, კლიმატის ცვლილებისა და სხვა მნიშვნელოვან საკითხებზე დისკუსიის ხელშეწყობა და ცნობიერების ამაღლება;
- ადგილობრივი ეკონომიკის განვითარებისა და ეკონომიკური შესაძლებლობების დივერსიფიკაციის ხელშეწყობა;
- ადგილობრივი ინფრასტრუქტურის განვითარების ხელშეწყობა;
- ადგილობრივი მოსახლეობისთვის სერვისების ხარისხის გაუმჯობესებისა და ხელმისაწვდომობის გაზრდის ხელშეწყობა, ციფრული სერვისების გაუმჯობესება-დანერგვის მხარდაჭერა;
- ციფრული ტექნოლოგიების დანერგვის ხელშეწყობა სოფლის განვითარების სხვადასხვა, პრიორიტეტულ სფეროებში;
- სოფლის, მუნიციპალიტეტის, რეგიონის და მისი საინვესტიციო მიმზიდველობის პოპულარიზაციის ხელშეწყობა.

---

[1] LEADER – „Liaison Entre Actions de Développement de I'Economie Rurale“ (სოფლის ეკონომიკის განვითარების ღონისძიებებს შორის კავშირი); CLLD – „Community-led Local Development“ (თემზე დაფუძნებული ადგილობრივი განვითარება).

**ლი 3. ორგანიზაციის საქმიანობა**

დასახული მიზნის მისაღწევად და ამოცანების შესასრულებლად, ორგანიზაცია შეიმუშავებს ადგილობრივი განვითარების სტრატეგიას მონაწილეობითი მიდგომით – სამოქალაქო საზოგადოების, სამეწარმეო და საჯარო სექტორების თანამშრომლობისა და მოსახლეობის ჩართულობის გზით. ადგილობრივი განვითარების სტრატეგია წარმოადგენს ორგანიზაციის საქმიანობის მიმართულებების განმსაზღვრელ ჩარჩო დოკუმენტს.

3.2. ორგანიზაციის საქმიანობა მოიცავს:

- საინფორმაციო-საგანმანათლებლო და კვლევით მიმართულებას;
- საჯარო, სამეწარმეო და სამოქალაქო სექტორის თანამშრომლობის ხელშეწყობას;
- დაინტერესებულ მხარეებთან, პროფესიულ ჯგუფებთან, პოტენციურ პარტნიორებთან, სხვა ადგილობრივ სამოქმედო ჯგუფებთან კავშირების დამყარებას – ცოდნისა და გამოცდილების გაზიარების, ერთობლივი ინიციატივებისა და ღონისძიებების განხორციელებისთვის;
- სოფლის, მუნიციპალიტეტის განვითარების ინოვაციური მიდგომების წახალისება-მხარდაჭერას;
- ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის განხორციელებისათვის ფინანსური რესურსების მოძიება-მოზიდვას და პროექტების განხორციელებას;
- ადგილობრივი განვითარების სტრატეგიის განხორციელებისათვის ადგილობრივი ინიციატივების მხარდაჭერას – საგრანტო კონკურსის ჩატარება, პროექტის შერჩევა, გრანტის გაცემა და პროექტის განხორციელების მონიტორინგი და შეფასება;
- დონორ ორგანიზაციებთან კავშირების დამყარებას და მათ ინფორმირებას წარმატებული პროექტებისა და ახალი ინიციატივების შესახებ.

3.3. ორგანიზაცია უფლებამოსილია განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მათ შორის, დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობა, რაც დაკავშირებულია ორგანიზაციის მიზნებისა და ამოცანების შესრულებასთან. დაუშვებელია ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება ორგანიზაციის დამფუძნებლებს, წევრებს, ხელმძღვანელ პირებს, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს და შემომწირველებს შორის.

**მუხლი 4. დამფუძნებლები**

4.1. ორგანიზაციის დამფუძნებლები არიან:

4.1.1. **სალომე ჯანელიძე** (დაბ. 01.07.1985 წელს, პირადი №04001004282; მისამართი: ამბროლაური ს. ბოსტანა, მე–2 ქ. N5);

4.1.2. **ლიანა კვინცხაძე** (დაბ. 28.05.1961 წელს, პირადი №60001123792; მისამართი: საქართველო, ქალაქი ქუთაისი, ჯანსუღ ღვინჯილიას ქუჩა, N18/2);

4.1.3. **ბესიკ ქართველიშვილი** (დაბ. 16.05.1968 წელს, პირადი #04001003320 რეგ. მისამართი: ამბროლაური, ს. ჭელიაღელე);

4.1.4. **ჯამბული ყრუაშვილი** (დაბ. 18.01.1963 წელს, პირადი №01034004632; მისამართი: ამბროლაური ს. ხოტევი);

4.1.5. **ოთარ გურგენიძე** (დაბ. 23.08.1987 წელს, პირადი #01003019253, საქართველოს მოქალაქის პასპორტი: #15BA01597, მისამართი: ამბროლაური, ს. ნიკორწმინდა, მე-2 ქ. N92);

4.1.6. **არჩილ გურგენიძე** (დაბ. 10.07.1986 წელს, პირადი №01010016203; მისამართი: ამბროლაური, ს. ნიკორწმინდა);

**4.1.7.** **ლევან გურგენიძე** (დაბ. 05.07.1990 წელს, პირადი №01008046575; მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ავთო ვარაზის ქუჩა, N3, ბინა 1);

4.1.8. **ევგენი კერვალიშვილი** (დაბ. 08.05.1987 წელს, პირადი №04001004758; მისამართი: ამბროლაური, ს. ჭრებალო);

4.1.9. **ანა მურუსიძე** (დაბ. 26.07.1991 წელს, პირადი №04001013706; მისამართი: ამბროლაური, ს. ზნაკვა);

4.1.10. **ლალი რატიანი** (დაბ. 28.11.1962 წელს, პირადი №04001003783; მისამართი: ამბროლაური, ს. კვაცხუთი, მე-14 ქ. N4);
4.1.11. **კესო შიშინაშვილი** (დაბ. 19.08.2001 წელს, პირადი №04001014251; მისამართი: ამბროლაური, ს. მეორე ტოლა);
4.1.12. **მარიამი ფოფხაძე** (დაბ. 14.09.2001 წელს, პირადი №62602008269; მისამართი: გუდაუთა, მ. ორახელაშვილის ქ. N1ა);
4.1.13. **ხათუნა გურაბანიძე** (დაბ. 20.07.1973 წელს, პირადი №04001009963; მისამართი: ამბროლაური, ექვთიმე აღმსარებელის II ჩიხი N2);
4.1.14. **გრიგოლ ბაკურაძე** (დაბ. 02.07.1977 წელს, პირადი №01009009898; მისამართი: ამბროლაური, გ. ბრწყინვალეს ქ. N13);
**4.1.15.** **ავთანდილ მიქიაშვილი** (დაბ. 25.04.1970 წელს, პირადი #04001003198; მისამართი: ამბროლაური, მ. კოსტავას ქ. N41);
**4.1.16.** **გიორგი მაღლაკელიძე** (დაბ. 18.08.1966 წელს, პირადი #04001003647; მისამართი: ამბროლაური, ბ. წულუკიძის II ჩიხი N4);
4.1.17. **ქრისტინე ქურციკიძე** (დაბ. 20.12.1987 წელს, პირადი #04001006875; მისამართი: ამბროლაური ს. ჭრებალო);
4.1.18. **გაიოზ ენუქიძე** (დაბ.: 06.01.1963 წელს, პირადი №04001000989, მისამართი: ამბროლაური, კ. ჭიჭინაძის ქ. N13);
**4.1.19.** **ნინო იმნაძე** (დაბ.: 11.04.1983 წელს, პირადი #01030026204, საქართველოს მოქალაქის პასპორტი: #18AA07732, მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, ივანე ჯავახიშვილის ქუჩა, N93);
4.1.20. **მარიკა ტატუაშვილი** (დაბ. 03.03.1985 წელს, პირადი #01020010804; მისამართი: ამბროლაური, კ. გამსახურდიას ქ. N80);
**4.1.21.** **სალომე სალუქვაძე** (დაბ. 10.11.1990 წელს, პირადი №01019046619; მისამართი: ამბროლაური, ს. ჭრებალო);
**4.1.22.** **ნინო ენუქიძე** (დაბ. 01.02.1967 წელს, პირადი №04001010637, მისამართი: ამბროლაური, ბრატისლავა-რაჭის ქ. N40);
**4.1.23.** **ელიკო რუსიშვილი** (დაბ. 03.10.1961 წელს, პირადი №04001004477; მისამართი: ამბროლაური, ს. იწა);
4.1.24. **მარიამ ჩალაძე** (დაბ. 28.08.1994 წელს, პირადი №04001014318; მისამართი: ამბროლაური, ს. ურავი);
4.1.25. **გია ჯელაძე** (დაბ. 20.05.1994 წელს, პირადი №04001014320; მისამართი: ამბროლაური, ს. ურავი);
4.1.26. **მალხაზ ჯელაძე** (დაბ. 26.09.1970 წელს, პირადი №62007004374, საქართველოს მოქალაქის პასპორტის №20AA05732, მისამართი: გაგრა, დ. ბიჭვინთა, აგრბას ქ. N35 ბ. 90);
4.1.27. **ნატო ღვალი** (დაბ. 13.09.1963 წელს, პირადი #04001005529; მისამართი: ამბროლაური, ა. გურგენიძის ქ. N8);
4.1.28. **მარინე ნატმელაძე** (დაბ. 21.07.1969 წელს, პირადი №04001012931, მისამართი: ამბროლაური, ს. წესი, მე-16 ქ. N3);
4.1.29. **ნესტანი ბუაძე** (დაბ. 25.06.1972 წელს, პირადი №04001004250, საქართველოს მოქალაქის პასპორტის №18AC50945, ამბროლაური, მ. კოსტავას ქ. N1);
4.1.30. **ლალი ვაჩაძე** (დაბ. 18.08.1956 წელს, პირადი №01020011750; მისამართი: ამბროლაური, ს. ქედისუბანი);
4.1.31. **მაკა გოცირიძე** (დაბ. 11.05.1985 წელს, პირადი №04001003399; მისამართი: ამბროლაური, შ. რუსთაველის ქ. N50);
4.1.32. **ნათია მაისაშვილი** (დაბ. 16.11.1978 წელს, პირადი #04001000713, მისამართი: ამბროლაური, თამარ მეფის I ჩიხი N10ა);
4.1.33. **გიორგი სოხაძე** (დაბ. 08.01.1989 წელს, პირადი #01019087723, მისამართი: ამბროლაური, ს. ბარეული);

4.1.34. **ლამარა ბოჭორიშვილი** (დაბ. 21.09.1995 წელს, პირადი №04001013163; მისამართი: ამბროლაური, ს. ძირაგეული);
4.1.35. **ამბროლაურის მუნიციპალიტეტი** (ს/ნ 222938490), წარმოდგენილი **თამარ ქევანაშვილის** (დაბ. 30.05.1991 წელს, პირადი №04001014114; მისამართი: ამბროლაური, კ. გამსახურდიას III ჩიხი N2, საქართველოს მოქალაქის პასპორტის №17AB66875) სახით, თანახმად ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 29.11.2023 წლის განკარგულებისა N73, და ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის 01/02/2024 წლის ბრძანებისა #ბ76.76240326;
4.1.36. **ლანა ჯელაძე** (დაბ. 22.07.1998 წელს, პირადი №04001014187; მისამართი: ამბროლაური, ს. ურავი);
4.1.37. **ნინო კერესელიძე** (დაბ. 03.12.1989 წელს, პირადი №01011075196; მისამართი: ამბროლაური, ს. წესი მე-17 ქ. N37);
4.1.38. **ეკატერინე კიბაბიძე** (დაბ. 08.06.1982 წელს, პირადი #04001001917, მისამართი: ამბროლაური, ს. წესი მე-17 ქ. N11);
4.1.39. **მაია დვალაძე** (დაბ. 26.08.1979 წელს, პირადი #04001000689, მისამართი: ამბროლაური, ს. კვაცხუთი მე–7 ქ. N6);
4.1.40. **იოსებ გეწაძე** (დაბ. 11.06.1983 წელს, პირადი №04001002414; მისამართი: ამბროლაური, ს. წესი მე–8 ქ. N4);
4.1.41. **დავით გურგენიძე** (დაბ. 06.04.1980 წელს, პირადი #31001005848, მისამართი: საქართველო, ქალაქი თბილისი, შალვა აფხაიძის III შესახვევი, N14, ბინა 39);
4.1.42. **ავთანდილ გურგენიძე** (დაბ. 16.11.1976 წელს, პირადი №01007010759; მისამართი: ამბროლაური, ს. ნიკორწმინდა).

4.2. ორგანიზაციის დამფუძნებლები ამავდროულად ორგანიზაციის წევრები არიან და გააჩნიათ წევრისთვის დადგენილი ყველა უფლება-მოვალეობა.

**მუხლი 5. წევრად მიღება**

5.1. ამბროლაურის ადგილობრივ სამოქმედო ჯგუფში ერთიანდებიან ადგილობრივი საჯარო, სამეწარმეო და სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლები.

5.1.1. ამ წესდების მიზნებისათვის, საჯარო სექტორის წარმომადგენლებად ითვლებიან ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საზღვრებში მოქმედი:

- ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო, მისი თანამშრომლები;

- სახელმწიფო ხელისუფლების ორგანოების (სამინისტრო, დეპარტამენტი, სსიპ-ი და ა.შ.) რეგიონული/ტერიტორიული სამსახურების თანამშრომლები;

- საჯარო სამართლის იურიდიული პირები და მათი ხელმძრვანელები;

- კერძო სამართლის იურიდიული პირები და მათი ხელმძღვანელები, სადაც სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობა (ან მისი რომელიმე ორგანო) ფლობს წილს და/ან წარმოდგენილია მმართველ ორგანოში.

5.1.2. ამ წესდების მიზნებისათვის, სამეწარმეო სექტორის წარმომადგენლად ითვლება ფიზიკური პირი, ან იურიდიული პირი, რომელიც „მეწარმეთა შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, ეწევა სამეწარმეო საქმიანობას.

5.1.3. ამ წესდების მიზნებისათვის, სამოქალაქო სექტორის წარმომადგენლად ითვლება ფიზიკური პირი, საინიციატივო ჯგუფი (არარეგისტრირებული კავშირი) ან იურიდიული პირი, რომელიც ცხოვრობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ან/და თავისი საქმიანობით მჭიდრო კავშირი აქვს მუნიციპალიტეტთან.

5.2. ორგანიზაციის წევრი:

5.2.1. ფიზიკური პირი არის - ქმედუნარიანი ფიზიკური პირი, რომელიც ცხოვრობს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ან/და თავისი საქმიანობით მჭიდრო კავშირი აქვს ამბროლაურის

ციპალიტეტთან, დაინტერესებულია თავისი სოფლის, მუნიციპალიტეტის, რეგიონის ცხოვრების ჯობესებით და სურვილი აქვს ჩაერთოს მისი განვითარების პროცესში, არ არის მოქმედი კანონმდებლობით შეზღუდული იყოს არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის წევრი, იზიარებს ორგანიზაციის მიზნებსა და ღირებულებებს (მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე მცხოვრებად ითვლება ფიზიკური პირი, რომელიც რეგისტრირებულია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, ან არ არის რეგისტრირებული, მაგრამ ფაქტობრივად ცხოვრობს მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე).

5.2.2. იურიდიული პირი არის – მუნიციპალიტეტი (ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანო), საჯარო სამართლის იურიდიული პირი, რომლის საქმიანობის/სამოქმედო ტერიტორია მოიცავს ამბროლაურის მუნიციპალიტეტს, აგრეთვე, კერძო სამართლის იურიდიული პირი, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში, მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში და მისი საქმიანობის/სამოქმედო ტერიტორია მოიცავს ამბროლაურის მუნიციპალიტეტს.

5.2.3. საინიციატივო ჯგუფი არის – არარეგისტრირებული კავშირი/გაერთიანება, რომლის საქმიანობის/სამოქმედო ტერიტორია მოიცავს ამბროლაურის მუნიციპალიტეტს.

5.2.4. ორგანიზაციაში ასოცირებული წევრის სტატუსით შესაძლებელია გაწევრიანდნენ ახალგაზრდები 15 წლიდან, რაც მიზნად ისახავს მათ გაზრდილ ჩართულობას სოფლის, მუნიციპალიტეტის განვითარებაში. ასოცირებული წევრი არ მონაწილეობს ორგანიზაციის მართვაში. მას შეუძლია დაესწროს საერთო კრებისა და მმართველი საბჭოს სხდომებს, მოისმინოს და გამოხატოს თავისი აზრი განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

5.3. წევრობის მსურველი პირი დადგენილი ფორმის განცხადებით მიმართავს ორგანიზაციის აღმასრულებელ ორგანოს – მმართველ საბჭოს, რომელიც წყვეტს პირის წევრად მიღების საკითხს განცხადების წარდგენიდან არა უგვიანეს 3 (სამი) თვის ვადაში. მმართველი საბჭოს უარი პირის წევრად მიღების თაობაზე, წევრობის მსურველს ეცნობება წერილობით.

5.4. საჯარო სექტორიდან წევრთა რაოდენობა არ შეიძლება აღემატებოდეს ორგანიზაცის წევრთა საერთო რაოდენობის 49%-ს.

5.5. ამ წესდების 5.1.1. პუნქტით გათვალისწინებული პირი, ამბროლაურის ადგილობრივ სამოქმედო ჯგუფში შეიძლება გაწევრიანდეს მხოლოდ საჯარო სექტორის კვოტით.

5.6. ორგანიზაციის დაფუძნებისას, სამეწარმეო სექტორის კვოტით მასში შეიძლება გაწევრიანდეს პირი, რომელიც აღნიშნული დროისთვის არ არის რეგისტრირებული მეწარმედ, თუმცა ეწევა სამეურნეო საქმიანობას და სურს ორგანიზაციის წევრობა აღნიშნული კვოტით.

5.7. ორგანიზაციის დამფუძნებლები და შემდგომ გაწევრიანებული პირები თანაბარი სტატუსით სარგებლობენ.

**მუხლი 6. წევრობის შეწყვეტა**

6.1. ორგანიზაციის წევრს უფლებამოსილება უწყდება მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებით:

6.1.1. მისი წერილობითი განცხადების საფუძველზე;

6.1.2. თუ მისი საქმიანობა, ქმედებები ეწინააღმდეგება ორგანიზაციის მიზნებსა და ღირებულებებს, ზიანს აყენებს ორგანიზაციის რეპუტაციას;

6.1.3. თუ იგი არ იზიარებს საქართველოს კონსტიტუციით გარანტირებულ ადამიანის უფლებებსა და დემოკრატიულ ღირებულებებს;

6.1.4. სასამართლოს მიერ მისი ქმედუუნაროდ ცნობის ან გარდაცვალების შემთხვევაში.

**მუხლი 7. წევრთა უფლება-მოვალეობანი**

7.1. ორგანიზაციის წევრს უფლება აქვს:

- მონაწილეობდეს საერთო კრების მუშაობაში;

წარადგინოს მმართველი საბჭოს წევრობის კანდიდატი;
აირჩიოს და არჩეულ იქნეს ორგანიზაციის მმართველ საბჭოში და ორგანიზაციის სხვა სტრუქტურულ ერთეულებში (ასეთი არსებობის შემთხვევაში);
- სათათბირო ხმის უფლებით მონაწილეობდეს მმართველი საბჭოს სხდომებში;
- შესაძლებლობებისა და ინტერესების შესაბამისად მონაწილეობდეს ორგანიზაციის საქმიანობაში;
- მიიღოს ინფორმაცია ორგანიზაციის საქმიანობის შესახებ;
- ორგანიზაციის მიზნების შესაბამისად და შესაძლებლობის ფარგლებში, ისარგებლოს ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული ინფორმაციითა და მატერიალურ-ტექნიკური საშუალებებით;

7.2. ორგანიზაციის წევრი მოვალეა:

- დაიცვას ორგანიზაციის წესდება;
- გაუფრთხილდეს ორგანიზაციის საქმიან რეპუტაციას და ქონებას;
- პატივი სცეს ორგანიზაციის სხვა წევრებს და დაიცვას ეთიკის ნორმები.

**მუხლი 8. საერთო კრება**

8.1. ორგანიზაციის უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანოა წევრთა საერთო კრება.

8.2. საერთო კრების სხდომის მოწვევა ხდება მმართველი საბჭოს მიერ და ტარდება წელიწადში ერთხელ. წევრის დასწრება საერთო კრების სხდომაზე შესაძლებელია როგორც პირადად (ფიზიკურად), ისე დისტანციურად.

8.3. წევრებს საერთო კრების სხდომის თარიღის შესახებ უნდა ეცნობოს წერილობით 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე მაინც, ხოლო რიგგარეშე სხდომის მოწვევის შემთხვევაში - გონივრულ ვადაში, რიგგარეშე სხდომის გამართვამდე 24 საათით ადრე მაინც. სხდომის მოწვევის შესახებ წერილობითი შეტყობინება უნდა მოიცავდეს სხდომის დღის წესრიგს, ჩატარების დროსა და ადგილს.

8.4. თუ საერთო კრების სხდომის დღის წესრიგით გათვალისწინებულია წესდებაში ცვლილების შეტანა ან ახალი წესდების მიღება, მაშინ ცვლილების ან ახალი წესდების პროექტი გასაცნობად უნდა მიეწოდოს წევრებს სხდომამდე არაუგვიანეს 5 (ხუთი) კალენდარული დღისა, მათ შორის ამ წესდების 8.3 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

8.5. საერთო კრების რიგგარეშე სხდომა მოიწვევა მმართველი საბჭოს მიერ:
- საკუთარი ინიციატივით;
- მმართველი საბჭოს თავმჯდომარის მოთხოვნით, ასეთი მოთხოვნის წარდგენიდან არაუგვიანეს ერთი თვისა;
- ორგანიზაციის წევრთა 20%-ის წერილობითი მოთხოვნით, ასეთი მოთხოვნის წარდგენიდან არაუგვიანეს ერთი თვისა.

8.6. საერთო კრება უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება ორგანიზაციის წევრთა ნახევარზე მეტი. თუ კრება არ იქნება უფლებამოსილი, განმეორებით მოიწვევა ერთი თვის ვადაში.

8.7. საერთო კრება გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით, დამსწრე წევრთა უმრავლესობით. ამასთანავე, მიღებულ გადაწყვეტილებაში ხმათა სულ მცირე 50% უნდა ეკუთვნოდეს არასაჯარო სექტორის წარმომადგენელ-წევრებს, გარდა ამ წესდების 8.8. პუნქტით გათვალისწინებული შემთხვევებისა. თითოეულ წევრს აქვს ერთი ხმა. ხმის გადაცემა დაუშვებელია.

8.8. საერთო კრება:

8.8.1. დამსწრე წევრთა ხმების ორი მესამედით იღებს ორგანიზაციის წესდებას და ცვლილებები შეაქვს მასში;

8.8.2. ადგენს მმართველი საბჭოს წევრების არჩევის წესს;

8.8.3. ფარული კენჭისყრით ირჩევს მმართველი საბჭოს წევრებს;

8.8.4. წყვეტს მმართველი საბჭოს წევრის უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხს ამ წესდების 10.9. პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევაში;

8.8.5. ისმენს ორგანიზაციის საქმიანობისა და ფინანსურ ანგარიშს;

6. წევრთა ხმების ორი მესამედით იღებს გადაწყვეტილებას ორგანიზაციის ორგანიზაციის (გარდაქმნა/სამართლებრივი ფორმის ცვლილება), შერწყმის (გაერთიანება, მიერთება), გაყოფის (დაყოფა, გამოყოფა) შესახებ;

8.8.7. წევრთა ხმების ოთხი მეხუთედით იღებს გადაწყვეტილებას ორგანიზაციის ლიკვიდაციის შესახებ.

**მუხლი 9. მმართველი საბჭო**

9.1. მმართველი საბჭო არის ორგანიზაციის მმართველი ორგანო, რომელიც უზრუნველყოფს საერთო კრების გადაწყვეტილებათა აღსრულებას, განსაზღვრავს ორგანიზაციის სტრატეგიასა და საქმიანობის ძირითად მიმართულებებს, ანგარიშვალდებული და პასუხისმგებელია საერთო კრების წინაშე.

9.2. მმართველი საბჭოს სხდომები იმართება ყოველთვიურად. წევრის დასწრება მმართველი საბჭოს სხდომაზე შესაძლებელია როგორც პირადად (ფიზიკურად), ისე დისტანციურად.

9.3. მმართველი საბჭოს წევრებს სხდომის შესახებ ეცნობებათ სხდომის თარიღამდე სულ მცირე 10 (ათი) კალენდარული დღით ადრე, ხოლო რიგგარეშე სხდომის მოწვევის შემთხვევაში – მოწვევისთანავე. სხდომის მოწვევის შესახებ წერილობითი შეტყობინება უნდა მოიცავდეს ინფორმაციას სხდომის დღის წესრიგის თაობაზე.

9.4. მმართველი საბჭოს სხდომას იწვევს მმართველი საბჭოს თავმჯდომარე ან მმართველი საბჭოს არანაკლებ ორი წევრი.

9.5. მმართველი საბჭოს სხდომებს უძღვება მმართველი საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში – მმართველი საბჭოს უხუცესი წევრი.

9.6. მმართველი საბჭო უფლებამოსილია, თუ სხდომას ესწრება წევრთა ნახევარზე მეტი.

9.7. მმართველი საბჭო გადაწყვეტილებას იღებს ღია კენჭისყრით, დამსწრე წევრთა უმრავლესობით. ამასთანავე, მიღებულ გადაწყვეტილებაში ხმათა სულ მცირე 50% უნდა ეკუთვნოდეს არასაჯარო სექტორის წარმომადგენელ–წევრებს, თუ წინამდებარე წესდებით სხვა რამე არ არის დადგენილი.

9.8. მმართველი საბჭო:

9.8.1. მმართველი საბჭოს წევრთაგან ირჩევს მმართველი საბჭოს თავმჯდომარეს და ზედამხედველობას უწევს მის საქმიანობას;

9.8.2. ამტკიცებს ორგანიზაციის სტრუქტურასა და ბიუჯეტს;

9.8.3. ამტკიცებს ორგანიზაციის საქმიანობის სტრატეგიულ მიმართულებებს და განვითარების გეგმას;

9.8.4. შეიმუშავებს და საერთო კრებას დასამტკიცებლად წარუდგენს ორგანიზაციის წესდების ცვლილების ან ახალი წესდების პროექტს;

9.8.5. შეიმუშავებს და ამტკიცებს ადგილობრივი განვითარების სტრატეგიასა და სამოქმედო გეგმას;

9.8.6. ქმნის სამუშაო ჯგუფებს, კომიტეტებს, კომისიებს კონკრეტული ამოცანის შესასრულებლად; შეიმუშავებს და ამტკიცებს მათ სახელმძღვანელო წესებს, შემადგენლობას და პასუხესმგებლობებს;

9.8.7. ამტკიცებს ორგანიზაციის ლოგოსა და სხვა სიმბოლიკას;

9.8.8. წყვეტს ორგანიზაციის სხვა გაერთიანებებში წევრობისა და იურიდიული პირის დაფუძნებაში მონაწილეობის საკითხს;

9.8.9. საჭიროების შემთხვევაში, სხდომებზე იწვევს და ისმენს ორგანიზაციის თანამშრომლის ანგარიშს.

9.9. ორგანიზაციის დაფუძნებისას მმართველი საბჭოს დაკომპლექტება ხდება დამფუძნებლების მიერ.

**მუხლი 10. მმართველი საბჭოს წევრი**

10.1. მმართველი საბჭო შედგება არანაკლებ 9 (ცხრა) და არაუმეტეს 15 (თხუთმეტი) წევრისაგან, რომელსაც 2 (ორი) წლის ვადით, ფარული კენჭისყრით, ირჩევს საერთო კრება. *(შეტანილია ცვლილება 28/01/2025)*

10.2. მმართველი საბჭოს წევრის საქმიანობა ეფუძნება ალტრუისტულ საწყისებს და მისთვის შრომის ანაზღაურება არ გადაიხდევინება.

. მმართველი საბჭოს წევრობის კანდიდატის წარდგენის უფლება აქვს ორგანიზაციის ნებისმიერ რს, რისთვისაც კანდიდატის წარმდგენმა წევრ(ებ)მა წერილობითი უნდა მიმართოს/მიმართონ მმართველ საბჭოს ან/და დაასახელოს/დაასახელონ კანდიდატი საერთო კრებაზე.

10.4. მმართველი საბჭოს წევრების არჩევა ხდება სექტორების მიხედვით, ფარული კენჭისყრით – თითოეული სექტორი ირჩევს თანაბარი რაოდენობის წარმომადგენლებს მმართველ საბჭოში. მმართველ საბჭოში არჩეულად ითვლება წევრობის ის კანდიდატი, რომელიც მიიღებს შესაბამისი სექტორის წარმომადგენელ-წევრთა მეტ ხმას. კენჭისყრაში მონაწილე შესაბამისი სექტორის წარმომადგენელ-წევრს შეუძლია ერთდროულად ხმა მისცეს იმდენ კანდიდატს, რამდენი ვაკანტური პოზიციაც არის მმართველ საბჭოში შესაბამისი სექტორის წარმომადგენელთათვის. თუ ბოლო საუკეთესო შედეგის ორმა კანდიდატმა მიიღო ხმათა თანაბარი რაოდენობა, მმართველი საბჭოს წევრი გამოვლინდება აღნიშნულ ორ კანდიდატს შორის ხელახალი არჩევნების საფუძველზე.

10.5. მმართველი საბჭოს წევრი არ მონაწილეობს მმართველი საბჭოს კენჭისყრაში და მას არა აქვს ხმის უფლება თუ იხილება მასთან პირდაპირ ან ირიბად დაკავშირებული საკითხი.

10.6. მმართველი საბჭოს წევრს უფლებამოსილება ვადამდე შეუწყდება:

10.6.1. საკუთარი განცხადების საფუძველზე;

10.6.2. თუ იგი აღარ მიეკუთვნება/წარმოადგენს იმ სექტორს, რომლის კვოტითაც იქნა არჩეული მმართველ საბჭოში;

10.6.3. თუ ხანგრძლივი ავადმყოფობის ან სხვა ობიექტური მიზეზების გამო (ხანგრძლივი მივლინებები და სხვა) მას არ შეუძლია დაკისრებული მოვალეობის შესრულება;

10.6.4. თუ მან ზიანი მიაყენა ორგანიზაციის რეპუტაციას ან/და მის ქონებას;

10.6.5. ორგანიზაციის წევრობის შეწყვეტის შემთხვევაში.

10.7. მმართველი საბჭოს წევრი ვალდებულია თავად აცნობოს მმართველ საბჭოს ამ წესდების 10.6.2. პუნქტით გათვალისწინებული გარემოების შესახებ, მისი გამოვლენიდან 5 (ხუთი) სამუშაო დღის ვადაში, მატერიალური ან ელექტრონული განცხადების ფორმით. მმართველი საბჭოს მიერ ამ წესდების 10.6.2. პუნქტით გათვალისწინებული გარემოების გამოვლენისას, მმართველი საბჭო უფლებამოსილია განიხილოს და გადაწყვიტოს მმართველი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხი ამ პუნქტით გათვალისწინებული განცხადების წარუდგენლობის შემთხვევაშიც.

10.8. მმართველი საბჭოს წევრის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის საკითხს წყვეტს მმართველი საბჭო.

10.9. მმართველი საბჭოს წევრს, ვადის გასვლის გამო უფლებამოსილება შეუწყდება მისი უფლებამონაცვლე წევრის არჩევისთანავე.

**მუხლი 11. თავმჯდომარე**

11.1. მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებათა აღსრულებას, ორგანიზაციის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობას ახორციელებს თავმჯდომარე, ხოლო მისი არყოფნის შემთხვევაში — მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებით, მმართველი საბჭოს ერთ-ერთი წევრი.

11.2. თავმჯდომარე ანგარიშვალდებულია და პასუხისმგებელია მმართველი საბჭოსა და საერთო კრების წინაშე.

11.3. თავმჯდომარეს მმართველი საბჭოს წევრთაგან 2 (ორი) წლის ვადით, წევრთა ხმების უბრალო უმრავლესობით ირჩევს მმართველი საბჭო. თავმჯდომარეობის კანდიდატის წამოყენების უფლება აქვს მმართველი საბჭოს ნებისმიერ წევრს. (*შეტანილია ცვლილება 28/01/2025*)

11.4. თავმჯდომარე უფლებამოსილია მისი არჩევის დღიდან უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე.

11.5. თუ თავმჯდომარედ არჩეულ იქნა მმართველი საბჭოს წევრი, რომლის უფლებამოსილების ვადა თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადაზე ნაკლებია, მას გაუგრძელდება მმართველი საბჭოს წევრობის უფლებამოსილება თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადის ამოწურვამდე.

11.6. თავმჯდომარე:

11.6.1. ხელმძღვანელობს მმართველი საბჭოს საქმიანობას და უძღვება მის სხდომებს;

11.6.2. ახორციელებს ორგანიზაციის ხელმძღვანელობასა და წარმომადგენლობას;

11.6.3. უზრუნველყოფს საწესდებო მიზნების განხორციელებას;

.4. ახორციელებს ფინანსური სახსრებისა და სხვა მატერიალური ქონების მართვას და პასუხისმგებელია სწორ გამოყენებაზე;
11.6.5. ხელს აწერს ოფიციალურ, მათ შორის საფინანსო დოკუმენტებს, გამოსცემს ბრძანებებს;
11.6.6. სამუშაოზე იღებს და ათავისუფლებს მიმდინარე საქმიანობისთვის საჭირო პერსონალს;
11.6.7. ორგანიზაციის სახელით დებს ხელშეკრულებებს და გასცემს მინდობილობებს;
11.6.8. შეიმუშავებს და მმართველ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ორგანიზაციულ სტრუქტურას და ბიუჯეტს;
11.6.9. შეიმუშავებს და მმართველ საბჭოს განსახილველად წარუდგენს ორგანიზაციის სტრატეგიასა და საქმიანობის ძირითად მიმართულებებს;
11.6.10. შეიმუშავებს და მმართველ საბჭოს დასამტკიცებლად წარუდგენს ლოგოს და ორგანიზაციის სხვა სიმბოლოებს;
11.6.11. ამზადებს და მმართველ საბჭოს წარუდგენს წლიურ პროგრამულ/პროექტულ და ფინანსურ ანგარიშებს;
11.6.12. ორგანიზაციის მიზნების მისაღწევად ახორციელებს სხვა უფლებამოსილებებს.
11.7. თავმჯდომარის უფლებამოსილების ვადამდე შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს მმართველი საბჭო, მის მიერ წესდებით განსაზღვრული მოვალეობების შეუსრულებლობის, უფლებამოსილების გადამეტების ან/და საწესდებო მიზნებთან შეუსაბამო ქმედებისთვის. თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტიდან არაუგვიანეს ერთი თვისა, მმართველი საბჭო ირჩევს ახალ თავმჯდომარეს.
11.8. თავმჯდომარის უფლებამოსილების შეწყვეტის შემთხვევაში, ახალი თავმჯდომარის არჩევამდე, თავმჯდომარის უფლებამოსილებას მმართველი საბჭოს გადაწყვეტილებით, ასრულებს მმართველი საბჭოს ერთ-ერთი წევრი.

**მუხლი 12. ქონება**

12.1. ორგანიზაციის ქონება იქმნება შემოწირულობებით, ნებაყოფლობითი საქველმოქმედო შენატანებით, გრანტებით, დამხმარე სამეწარმეო საქმიანობითა და სხვა კანონიერი გზით მიღებული შემოსავლებისაგან.
12.2. ორგანიზაცია უფლებამოსილია განახორციელოს კანონით აუკრძალავი ნებისმიერი საქმიანობა, მათ შორის, დამხმარე ხასიათის სამეწარმეო საქმიანობა, რაც დაკავშირებულია ორგანიზაციის მიზნებისა და ამოცანების შესრულებასთან. დაუშვებელია ასეთი საქმიანობის შედეგად მიღებული მოგების განაწილება ორგანიზაციის დამფუძნებლებს, წევრებს, ხელმძღვანელ პირებს, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს და შემომწირველებს შორის.
12.3. ორგანიზაციის საკუთრებაში არსებული ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ გასხვისება ემსახურება ორგანიზაციის მიზნებისა და ამოცანების შესრულებას, მის ორგანიზაციულ განვითარებას ან საქველმოქმედო მიზნებს.

**მუხლი 13. რეორგანიზაცია/ლიკვიდაცია**

13.1. ორგანიზაციის რეორგანიზაციისა და ლიკვიდაციის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საერთო კრება.
13.2. ორგანიზაციის რეორგანიზაციას და ლიკვიდაციას ახორციელებს თავმჯდომარე, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.
13.3. ლიკვიდაციის დროს უნდა დასრულდეს მიმდინარე საქმეები, დადგინდეს მოთხოვნები, დარჩენილი ქონება გამოიხატოს ფულში, დაკმაყოფილდნენ კრედიტორები და დარჩენილი ქონება გაუნაწილდეს უფლებამოსილ პირებს.
13.4. გადაწყვეტილება ორგანიზაციის ლიკვიდაციის პროცესისს დაწყების შესახებ უნდა დარეგისტრირდეს მეწარმეთა და არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირების რეესტრში. ლიკვიდაციის პროცესი დაწყებულად ითვლება მისი რეგისტრაციის მომენტიდან.
13.5. ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილ პირებს განსაზღვრავს საერთო კრება. ორგანიზაციის ლიკვიდაციისას ქონების გასხვისება შესაძლებელია, თუ:
13.5.1. გასხვისება ხელს უწყობს მის მიერ დასახული მიზნების განხორციელებას;

.2. ემსახურება საქველმოქმედო მიზნებს;

.3. ქონება გადაეცემა სხვა არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს.

13.6. აკრძალულია ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების განაწილება ორგანიზაციის დამფუძნებლებს, წევრებს, ხელმძღვანელ პირებს, წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირებს და შემომწირველებს შორის.

13.7. თუ საერთო კრებამ არ განსაზღვრა ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონების მიღებაზე უფლებამოსილი პირი, ლიკვიდაციის შედეგად დარჩენილი ქონება გადაეცემა შესაბამისად ერთ ან რამდენიმე არასამეწარმეო (არაკომერციულ) იურიდიულ პირს, რომლებსაც აქვთ იგივე ან მსგავსი მიზნები, როგორიც ლიკვიდირებულ ორგანიზაციას. თუ ასეთი ორგანიზაციები არ არსებობს ან შეუძლებელია ასეთი ორგანიზაციების გამოვლენა, მაშინ შეიძლება მიღებულ იქნეს გადაწყვეტილება ამ ქონების სახელმწიფოსათვის გადაცემის შესახებ. სასამართლომ ქონება შეიძლება გაანაწილოს ლიკვიდაციის პროცესის დაწყების რეგისტრაციიდან 6 (ექვსი) თვის შემდეგ.

**მუხლი 14. დასკვნითი დებულებები**

14.1. წინამდებარე წესდება ძალაში შედის მისი სადამფუძნებლო კრებაზე მიღებისთანავე.

14.2. ამ წესდების რომელიმე დებულების ბათილად ცნობა გავლენას არ ახდენს წესდების სხვა დებულებების ნამდვილობაზე.

14.3. ამ წესდებასა და საქართველოს კანონმდებლობას შორის არსებული შეუსაბამობის შემთხვევაში, მოქმედებს კანონი.

**საერთო კრების თავმჯდომარე:**
**ნინო კერესელიძე** (პირადი №01011075196)

(ხელმოწერა)

**ნოტარიუსი:**
**თამთა გელუკაშვილი**

(ხელმოწერა)